დადგენილება 20 /2020 „საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო აკონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 მარტის N15/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილება № 20 /2020

23 აპრილი 2020

დადგენილება 20 /2020 „საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფოკონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 მარტის N15/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ემუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ემუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ემუხლის, 56-ემუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველო სკულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 აპრილის N14 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 მარტის N15/20 დადგენილებაში და

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადის შეწყვეტამდე შეჩერდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი.“.

ბ) მე-3მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) საქართველოში გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადის შეწყვეტამდე დაიკეტოს კონსერვატორიის სამივე შენობა.“.

გ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.საგანგებო მდგომარეობის ვადის შეწყვეტამდე სწავლის რეჟიმი და მასზე პასუხისმეგებელი პირების მიერ მონიტორინგი რჩება ძალაში №13/2020 დადგენილების მიხედვით.“.

დ) მე-10მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.კონსერვატორიის თანამშრომლები, აკადემიური, მოწვეული, 60 წელზე მეტი ასაკის, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალი, საგანგებო მდგომარეობის ვადის შეწყვეტამდე გადაყვანილ იქნას დისტანციურ და შეღავათიან სამუშაო რეჟიმზე.

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე